ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ახორციელებს სრულფასოვან დამოუკიდებელ საექსპერტო მომსახურებას:

- დნმ ექსპერტიზა
- გენეტიკური ექსპერტიზა
- ნარკოლოგიური ექსპერტიზა
- ავტოტექნიკური ექსპერტიზა
- ხელწერის ექსპერტიზა
- ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზა
- ჰადიაციული ექსპერტიზა
- დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა
- ბალისტიკური ექსპერტიზა
- სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა
- ტრასოლოგიური ექსპერტიზა
- ქიმიური ექსპერტიზა
- სასაქონლო ექსპერტიზა
- საინჟინრო და სამშენებლო ექსპერტიზა
- სუსხათის ექსპერტიზა
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა
- ფსიქიატრიული ექსპერტიზა
- სამედიცინო ექსპერტიზა

ლაბორატორიებში დასაქმებულია გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხს და ბიუროს სახელით სასამართლო პროცესებზე თავად იცავენ გაცემული დასკვნების ჭეშმარიტებას. ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამკვეთების მოთხოვნათა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებას და კიდევ უფრო აძლიერებს ბიუროს ავტორიტეტს მომხმარებელთა შორის.

ექსპერტთა მაღალი პროფესიონალიზმი და ობიექტურობა ჩვენში სიმამაცის გრძნობას იწვევს. ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა და დავიმსახუროთ მათი პატივისცემა და ნდობა.

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5-020572-2012
17 7 201 წ.

კომპანია "დაბი გრუპ ჯორჯია"-ს დირექტორს
ბატონ მედჰატ მორისს

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2012 წლის 14 ივნისის მომართვის საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის #021378-2012/03/2 დასკვნას.

დანართი: ექსპერტიზის დასკვნა - 7 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი

ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
(995 32) 258 484
(995 32) 290 524
info@forensics.ge

ქუთაისი 4600, მესხიშვილის ქ. №5
5 Meskhishvili str. Kutaisi 4600., Georgia
(995 31) 13003
info@forensics.ge

ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145
145 Pushkini str. Batumi., Georgia
(995 888222) 79433
info@forensics.ge

გაფრთხილება

კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს

ექსპერტი: ანატოლი გოგოხია

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2012 წლის 15 ივნისს ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მიღებულია კომპანია „დაბი გრუპ ჯორჯია"-ს დირექტორის მედჰატ მორისის განცხადება ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში ე.წ. „იმელი"-ს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ.

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, კერძოდ ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის, სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტს ანატოლ გოგოხიას, ინჟინერ-მშენებელს უმაღლესი განათლებით, სპეციალობით მუშაობის 41 წლის სტაჟით.

ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვა

„გთხოვთ, ჩაატაროთ საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზა რუსთაველის გამზ. №29-ში ე.წ. „იმელი"-ს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ.

ექსპერტის დასკვნა №021378-2012/03/2

შემოსვლის თარიღი: 15 ივნისი 2012 წ. გასვლის თარიღი: 17 ივლისი 2012 წ.

დასკვნა

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში მდებარე „იმელი"-ს შენობის ტექნიკური მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. მის შიდ კედლებში განვითარებულია მრავლობითი ბზარები, რომლებიც ამ ეტაპზე საფრთხის შემცველი არ არიან. მათზე დაკვირვების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, ბზარწარმოქმნის ადგილებში თაბაშირის ფალაურების მოწყობა, ვადით ერთიდან ორ თვემდე. შენობის შიდა კონსტრუქციული ელემენტების დიდი ნაწილი დაზიანებულია. შენობის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და მომავალში მისი შესაძლო რეკონსტრუქციის მიზნით აუცილებელია მთლიანად შენობის დეტალური გამოკვლევა, რისთვისაც საჭიროა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: საძირკვლების ფუძე-გრუნტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (ოთხი შეტრი სიღრმის შურფების გაყვანა, 12 წერტილში). საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობის, ჩაღრმავებისა და გეომეტრიული ზომების დადგენა. შიდა კონსტრუქციების: რიგელების, სვეტების, გადახურვის ფილების, საძირკვლების ბეტონის ურღვევი მეთოდით სიმტკიცის განსაზღვრა, ცალკეული კონსტრუქციებიდან მასალის ნიმუშის აღება და სიმტკიცეზე გამოცდა. შიდა კედლების მდებარეობისა და ზომების დადგენა; შენობისა და მისი კონსტრუქციების ზუსტი ანაზომების აღება.

ექსპერტი: ა. გოგოხია

კვლევა/გამოკვლევა

2012 წლის 03 ივლისს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში მდებარე ე.წ. „იმელი"-ს შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში „იმელი"-ს შენობა საცარაუდოდ აშენებულია 1938 წელს. გეგმაში რთული კონფიგურაციისა იხ. (სურ. 1, 2), შედგება სამი ნაწილისაგან: მარჯვენა ფლიგელის, ცენტრალურისა და მარცხენა ფლიგელებისაგან. გაბარიტული ზომებია: სიგრძე 80.4 (მ), სიგანე 52.2 (მ) სიმაღლე 31.80 (მ), სართულიანობა: მარჯვენა ფლიგელი 4-:-6-სართული, სარდაფით. ცენტრალური ნაწილი 5-:-7-სართული, ნაწილობრივ სარდაფით. მარცხენა ფლიგელი 4-:-7-სართული სარდაფით. სამივე ფლიგელის სართულშუა გადახურვა რკ/ბეტონის მონოლითური ფილით არის შესრულებული, სახურავი პრტყელია, ცენტრალური ნაწილის სააქტო დარბაზის გადახურვა ხის ფერმებით არის მოწყობილი. შენობის მთავარ ფასადზე (რუსთაველის გამზ.) დამონტაჟებულია დაახლოებით 25-:-27 მ სიმაღლის სვეტების რიგი („კოლონადა"), რომლებზეც კაპიტელია მოწყობილი. სვეტების ტექნიკური მდგომარეობა კარგია, მისი მოპირკეთების ქვები კარგ მდგომარეობაშია და ბზარები არ გააჩნიათ, იხ. (სურ. 3). შენობის სამივე ფლიგელის მონოლითური სვეტები, როგორც წრიული ისე მართკუთხა ფორმისაა, ზომით 40X40 სმ, მათი უმეტესობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რიგელები მონოლითური რკ/ბეტონისაა დაახლოებითი კვეთით 40X50 სმ; შენობის ცენტრალურ ნაწილის პირველი სართული, რომელიც საპარადო შესასვლელის ფუნქციას ითავსებდა, რკინაბეტონის კესონური კონსტრუქციით არის გადახურული, რომლის შიდ კონსტრუქციას ასევე რკინაბეტონის მასიური სვეტები წარმოადგენენ და ვიზუალურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებიან, იხ. (სურ. 4). შენობის სახურავი მთელ ფართზე ტერასულია, ამასთანავე მარჯვენა ფლიგელის მეოთხე სართულის სახურავი გამოყენებული იყო, როგორც სარეკრეაციო ფართი.



სურ.1



სურ.2



სურ. 3



სურ.4

ვიზუალური დათვალიერებით „იმელი"-ს შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობა არასახარბიელოა. შზიდ კედლებში და ცალკეულ კონსტრუქციულ ელემენტებში განვიტარებულია დიდი გახსნილობის ბზარები და დეფორმაციები. მარჯვენა ფლიგელი („ს" და „შ" ღერძებს შორის) ცუდ მდგომარეობაშია, კერძოდ: „6"ღერძზე გახსნილია ბზარები 10 მმ-დან 30 მმ-მდე მთელ სიმაღლეზე, სარდაფის ჩათვლით იხ. (სურ.5,6). „4"ღერძზე მოწყობილია ტემპერატული ნაკერი, რომელშიც ბზარები ანალოგიურადაა გახსნილი და შენობის სიმაღლის ზრდასთან ერთად ბზარის სიდიდე მატულობს და აღწევს 60-:-70მმ-ს., ამ მონაკვეთში სვეტთან რიგელის შეერთების კვანძი დაზიანებული და გახსნილია იხ. (სურ.7,8). სართულშუა გადახურვებში მონოლითური რკ/ბეტონის ფილა ალაგ-ალაგ ამონგრეულია იხ. (სურ.9), რაც შეეხება ამ ნაწილის სახურავის კონსტრუქციას, მონოლითური რკ/ბეტონის ფილის ბეტონი, მთლიანად მოხსნილია, შერჩენილია მხოლოდ კოროზირებული არმატურები იხ. (სურ.10).



სურ. 5



სურ.6



სურ. 7



სურ. 8

ცენტრალურ ნაწილში („ზ“ და „ო“ ღერძებს შორის) გარე წრიულ კედლებში შეიმჩნევა მცირე ზომის ბზარები იხ. (სურ.11). სართულშუა გადახურვის მონოლითურ ფილებში, მეორე და მესამე სართულზე, ნაწილობრივ მოხსნილია ბეტონის მასა იხ. (სურ.12). სააქტო დარბაზის სახურავის საფარი მთლიანად მოხსნილია. შენარჩუნებულია ხის ფერმების კონსტრუქცია, რომელთა ჩამაგრების კვანძები კარგ მდგომარეობაშია იხ. (სურ.11). მარცხენა ფლიგელის მზიდ კედლებში („ა“ და „გ“ ღერძებს შორის) უმნიშვნელო ბზარები შეიმჩნევა, აქედან გამომდინარე მათი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, რაც შეეხება დანარჩენ მზიდ კონსტრუქციებს, ისინი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან: შვიდივე სართულშუა გადახურვის კონსტრუქცია მნიშვნელოვნად არის დაზიანებული: („ე“ და „ზ“ ღერძებს შორის) მთელ ფართზე მოხსნილია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის ბეტონი, დარჩენილია მხოლოდ არმატურის ბადე იხ. (სურ.14). „ზ“ ღერძიდან „10“ ღერძის ჩათვლით მთლიანად დანგრეულია შენობის ნაწილი იხ. (სურ. 15, 16). „ა“ ღერძზე „2-“ღერძიდან „6“ ღერძის ჩათვლით სარდაფის დონეში ჩაედინება წყლის ნაკადი გაურკვეველი მიმართულებით, რაც აუარესებს შენობის საძირკვლების და მთლიანად შენობის ამ ნაწილის ტექნიკურ მდგომარეობას. შენობის ტერიტორია უკანა ფასადის მხრიდან სამშენებლო ნაგვითა და მწვანე ნარგავობით არის დაფარული.



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16

ამრიგად, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში მდებარე „იმედი"-ს შენობის ტექნიკური მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. მის მზიდ კედლებში განვითარებულია მრავლობითი ბზარები, რომლებიც ამ ეტაპზე საფრთხის შემცველი არ არიან. მათზე დაკვირვების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, ბზარწარმოქმნის ადგილებში თაბაშირის ყალაურების მოწყობა, ვადით ერთიდან ორ თვემდე. შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების დიდი ნაწილი დაზიანებულია. შენობის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და მომავალში მისი შესაძლო რეკონსტრუქციის მიზნით აუცილებელია მთლიანად შენობის დეტალური გამოკვლევა, რისთვისაც საჭიროა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: საძირკვლების ფუძე-გრუნტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (ოთხი მეტრი სიღრმის შურფების გაყვანა, 12 წერტილში). საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობის, ჩაღრმავებისა და გეომეტრიული ზომების დადგენა. მზიდი კონსტრუქციების: რიგელების, სვეტების, გადახურვის ფილების, საძირკვლების ბეტონის ურღვევი მეთოდით სიმტკიცის განსაზღვრა, ცალკეული კონსტრუქციებიდან მასალის ნიმუშის აღება და სიმტკიცეზე გამოცდა. მზიდი კედლების მდებარეობისა და ზომების დადგენა; შენობისა და მისი კონსტრუქციების ზუსტი ანაზომების აღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. СП-13-102-2003
2. სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ. 01.01-09
3. ლითონის კონსტრუქციები II 23.81.
4. СниП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.
5. СниП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.
6. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტი: ა. გოგოხია

ბიუროს უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

მიმდინარე ეტაპზე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყველაზე აქტიურ პარტნიორად შესაძლებელია დასახელდეს ამე
შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ბიუროს შენობის რეკონსტრ
პროცესში, ლაბორატორიების ტექნიკურ აღჭურვაში. საელჩო ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ნივთმტკიც
შეგროვებისა და შენახვის პროცედურების დანერგვასა და ხარისხის მართვის სისტემების (ISO17025) დანერგვის მიმართულებ

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არის სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (EN
აღიარებული წევრი.

ENFSI – აქტიურად თანამშრომლობს ბიუროსთან ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და მენეჯმენტის გაუმჯობეს
საკითხებზე შემდეგ დარგებში:

• დნმ-ის ლაბორატორია • ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია

წითელი ჯვარი

წითელი ჯვრის პროექტით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ერთად განხორციელდა სასწავლო
აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა იდენტიფიკაციის მიზნით. 23 აპრილი, 2007. საქართველო.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (NATO)

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ბიუროსთან თანამშრომლობს ტრანსპორტისა და ატმოსფეროს დაბინძურების დარგში. ამ
ორგანიზაციის დაფინანსების ფარგლებში ატმოსფეროს დამაბინძურებლების ტრანსფორმაციის მოდელირება/სწავლებ
აქტიური მონაწილე ყოველთვის არის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო - (USAID)

USAID-ის ბიზნეს განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ექსპერტიზის ბიუროსთვის ეწყობა
სწავლებებიპროფესიული სერტიფიცირებისა და მომზადების პროგრამა უძრავი ქონების შეფასების საკითხებში.

ევროკავშირი

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პერიოდულად ხდება ნარკოტიკული, მომწამვლელი ნივთიერებების, ფარმაცევტ
და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიის ექსპერტთა სწავლება

ლიტვის სახელმწიფო

ლიტვის სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხარდაჭერის ფარგლებში სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუ
ექსპერტთათვის ლიტვაში ჩატარდა სემინარები სასამართლო ექსპერტიზის მეთოდების დანერგვა, კვლევის ხარი
ამაღლებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ნიდერლანდების გაერთიანებული სამეფო

ფსიქიატრიული ექსპერტიზის განვითარების მიზნით. საქართველოსა და ნიდერლანდებს შო
გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სასამართლო ფსიქიატრიისა და პენიტენციური სისტემაში განთავსებულ პ
ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების სფეროში.

INTERTECH Trading Corp, აშშ - Solaar S სერიის ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრის ლოკალური სწავ
რადიაციული ექსპერტიზის ლაბორატორია.

IAEA - ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაცია
ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან. იგი უზრუნველყოფს სასამა
ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს რადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავ
მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

FSS - დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული ერთ-ერთი საუკეთესო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორატ
მსოფლიოში, რომლის პროექტების ფარგლებშიც ქართველი სასამართლო სამედიცინო ექსპერტების სწავლება დაიწყებ
ლაბორატორიაში.

(ATF) Bureau of Alcohol, Tobacco, Firearms and Explosives - ამერიკის შეერთებული შტატების იუსტ
სამინისტროსთან არსებული სპეციალური

WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
(+995 32) 25 84 84
info@forensics.ge